საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-950

ქ. თბილისი

25/06/2021

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალური გაზსადენის „წითელი ხიდი-გარდაბნის“ მონაკვეთის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიაზე“ გადაცემის შესახებ

2021 წლის 24 მაისს სამინისტროს ერთობლივი განცხადებით მომართეს სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციისა“ და შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ გენერალურმა დირექტორებმა. სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ“ ითხოვა მასზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიაზე“ და ამ უკანასკნელმა კი ამავე გადაწყვეტილების მიღება.

2016 წელს სამინისტროს მიერ სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალური გაზსადენის „წითელი ხიდი-გარდაბნის“ მონაკვეთის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაიცა №20 (12.04.2016) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, 2019 წლის 19 ივლისს გაიცა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-684 ბრძანება „სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალური გაზსადენის „წითელი ხიდი-გარდაბნის“ მონაკვეთის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი უფლებამოსილია, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება სრულად ან ნაწილობრივ სხვა პირს გადასცეს. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველია გადაწყვეტილების მფლობელისა და მიმღების ერთობლივი განცხადება, ხელშეკრულება ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის ფაქტს. სამინისტრო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის თაობაზე განცხადებას იხილავს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალური გაზსადენის „წითელი ხიდი-გარდაბნის“ მონაკვეთის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 19 ივლისის №2-684 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცეს შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიას“;
2. შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიამ“ უზრუნველყოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 19 ივლისის №2-684 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების დაცვა;
3. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიასა“ და სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიისა“ და სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე- 12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი